ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 64

"15" თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის და გიორგი გურამიშვილის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევს მიენიჭოს არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის გასასვლელის მონაკვეთს მიენიჭოს არტილერისტის გიორგი გურამიშვილის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის გასასვლელის მონაკვეთს მიენიჭოს არტილერისტის გიორგი გურამიშვილის II შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X=485703 Y=4613779
1:2,000
X=485442 Y=4613651
X=485375 Y=4613626
I შეს.
X=485330 Y=4613613
I შეს.
II შეს.
გიორგი გურამიშვილის ქ.
X=485468 Y=4613544
X=485402 Y=4613536
გიორგი გურამიშვილის ქ.
X=491519 Y=4617319
X=485287 Y=4613433